

94/2
1909

ქართული
პრესის
კავშირი

მათრახი

და სალაშქრო

№ 24

ყოველ-კვირეული, იუმორისტული ჟურნალი




1876



ნეტავ იცოდეთ გაზეთი
ხშირად რა განსაცდელშია!
ვთქვით აგენტურა ჩაფარდა
ერთ-ერთი ჩარჩის ხელშია,

რასდენიც უნდა იწვლო,
ვერ გასწორდები წელშია.
ქვეყანამ იცის მიზანი
რა გამოცდილი ჩარჩია,

რალა ბეერი ვიქვით, გაგჩნავს
 თუ მსხვერპლათ გამოგარჩია!
 ქართულსა ჟურნალ-გაზეთებს
 ის ფლობდა პირველ თავათა,
 მაგრამ რა? იმ უბედურებს
 ტყავი არ შერჩა ტყავათა.
 შხა მზარეულსა გაზეთებს
 თავს დასწახოდა ყვეათა,
 ჰკორტიდა, აძვალტყავებდა
 და სპობდა სანახავათა.
 მაგრამ მიეცა საშველი
 გაჩნოლადის ყვანაღასა,
 უცებ მეტოქე, მოქიშვე
 წარმოვევლინა საწყაღასა.
 შეიქნა ბურხლი... იბრძვიან...
 ჯერ მეთს ნუ ვიტყვით ნურასა:
 ვნახოთ ვინ სძლევს და დაირჩენს
 თფილისის აგენტურასა.



ეშაპის ინტერვიუ.

ივან მიხეილიჩ ანდლუაძოვთან.

ვიცი ჩემი მკითხველის ახირებული ზეგნული — უთუოდ აეთათხვს: კაცო ვინ არის ეგ ივან მიხეილიჩი და ისიც ანდლუაძოვს, რომელიც ინტერვიუს ღირსი გაგინდიო?

იკითხავს და მეც მზათა ვერ საპასუხოთ!
 1884 წლის მაისში, გურიის სოფელ ასკანაში,

გლენის მიხედვით ანდლუაძის ოჯახში დაიბადა ბავშვი, რომელსაც შემდგომად წმინდა ნათლის-ღებისა ეწოდა სახელი ივანე. შეიდი წლის ვანო ადგილობრივ სკოლაში მიიბარეს და ბავშვობაშივე გამოიჩინა უშუბრტი ღრეკილება ევროთ წოდებულ დურში-შხანობისადმი. მაგრამ მისი ფართე ბუნება ვერ შეეყო ასკანის შთა გარძიან მოხაზულობას და იძულებული გახდა ბათუმში გადასულიყო, სადაც სახელმწიფო ხარჯით დასარულა ერთ-ერთი სასწავლებელი. შემდგომ ამისა გაემგზავრა ადესაში სწავლის განსაგრძობათ, მაგრამ ერთი წლის შემდეგ ისიც მიატოვა და მასწავლებლის სამსახურს დატოვა. საუბედურათ მისი ბუნება ვერ შეეთვისა ამ კრამო-

ლინეურ მოღვაწეობას და უკუ იკვანა. ის შევიდა სახელმწიფო სამსახურში ე. ი. ქვეყნის მთავრობით და აი აქედან იწყება მისი დღეგრძეობა. მისი მიიყვანა „ქეშმარტი-რუსთა კავშირის“ ნოვოსელოვის განყოფილების თავმჯდომარეობამდე.

მაშასადამე, არც ისე ბატარა საფრთხობელასთან გვექონია საქმე! ანდლუაძე ღმრთის ქვეყნად ბევრი გაუჩენია, მაგრამ ივან მიხეილიჩი იმათში ერთად ერთია!

— კაც ვაშა ფამილი?

ხრინწიანის ხმით შემეკითხა ივან მიხეილიჩი და თვალი ამავლ-ჩამავლო. მაშინვე შევეტყვე, რომ სადაც „პარტიული კრებიდან“ დაბრუნებულიყო, რადგან არაყის სუნნი სამ საყენებდა სკეძმა მისი პატივცემული გვამისაგან.

- ჩემი გვარი, ბ-ნო, ეშაპურიძე ვახლავთ.
- სულ ერთია, наплевать! ჩავო ხოჩიშ? ა?
- ნიჩავო, შენი კირიძე; ისე, გავიგე თქვენი აღმატების ამბავი და მოვედი სანახავათ. კაც ვი ზღეს პაივიიშ? ა?

- კარგი! დაეფიდი. სადაური ხარ?
- ასკანელი ბ-ნო!

— ბიჭოს, ზნაშიტ მაია ზემლიაქ! ეგებ, მერზავიქ! ცხადათ სჩანდა, რომ „ქეშმარტი-რუსთა“ თავმჯდომარეს ძლიერ ესიამოვნა ჩემი ნახვა. მართალია ის ამ დროს, პარტიული მოღვაწეობით მოქანცული, ფეხზე ვეღარ დგებოდა და უპარტიო ინტელიგენტსავით ხან აკუთხეს, ხან მის ელწეზობა, მაგრამ მისი გაწითლებული სახე უტყუარო მოწამე იყო გულწრფელი სიხარულისა და კმაყოფილებისა.

— როგორ ცხოვრობს მამა ჩემი ა? კიდევ აზუშავებენ ჩვენებური სოციალ-დემოკრატები? ა? ია იან პაკუშუშუ... ია იმ...

— რასა ბრძანებთ, ბ-ნო თავმჯდომარევე, ვინ სოციალ-დემოკრატები, რის სოციალ-დემოკრატები

— ზნაიბ ია ბრატ! ჩვენი მოტყუება არ შეიძლება. რაკი იმას სწამს ღიღება მაცხოვარისა და არ სწამს ღიღება მარქსის მოძღვრებისა, ჩვენი ასკანელი მას ამუშავებენ, როგორც უბრალო გლენს როგორც მუჭიქს! ეტო რაზევი მოენა, ეტო რაზევი მოენა!! იციან ის ვინ არის?! ის მამა ჩემია! ღიციან მე ვინ ვარ? მე იმის შეილი ვარ! ის პირიღედელუ სთუხარუსკოლი ნაროდუ! პონიმიშ ვი! ა მე ენა ჩამივარდა. ვიფიქრე თუ გიწერი აღსასრული, სწორეთ ახლა მოგივიდა, ეშაპურიშეთი. რუსული სოფლის“ თავმჯდომარე სწორე შევიდა როლში და ერთობ წამოიზიდა ჩემსკენ.

— შტო ვი ღოვარიშტ, რაზევი მი ნი ზნაიბ ვაში დელი?

— ამა თუ იცი, ძამიავ, ქე ქენი რავარც გი-
ჩივი. უცებ გამოიცივალა კილო მათმა უთავმჯდომა-
რეგობესობამ.

— რომ არბენებენ საწყალ ბერიკაცს, რავა ვერ
გვიგვს, რომ მე სახენწიფო სამსახურში ვარ, ჩემი
ძმა პოლოკონიკათ მსახურებს და მე კილო რუსეთის
თავმჯდომარე ვარ? მე უჩვენებ იმგნს თუ ახლა კი-
ლო შეეწუმეს ბერიკაცი. ყველას გადავასახლებ.

— მერმე რა ასკანლების ბრალია?

— ვინცხაის ბრალია ეტო სეროგენა, მე მთელ
აღმინისტრაციას გამოვყრი, პურიშკევიჩი ჩემი მარ-
ჯვენა ხელია, იცი მარჯვენა, ჩვენ ორუე მემარჯვე-
ნები ვართ.

— თუ ასეა პოჩმეუ ვამ პისმ ნიპიშიტ?

— ხტო? ვალოლია? შტო ვი გოვარიშ? სამი
ტაკოი პრაკი პისმ პიშიტ, რომ გაიკვირდებ.

— აღნ პისმუ ონ დუმბაძუ ნაპისილ, არა?

— კაკოი დუმბაძუ, რას ლაპარაკოვ, მე ყო-
ველ დღე მწერს, ია ტვაი ლიუბიშნი ბრატო.

სწორეთ გამიპირდა ამდენი რუსული და გა-
დაცწყვიტე ივან მიხეილიჩის გული ცოტა მოამე-
ბო და მოამეპართულება.

— მომავლისთვის რას აპირობს, ბ-ნო ივან,
თქვენი სოუზი?

— ოოო! ჩვენ დიდი საქმენები გვიდგანა წინ!!
კავშირი ახლა ადგენს ადრესებს რომ დუმბოვიჩი
დენინშნოს დუმის თავმჯდომარეთ. მე იმისი ხელით
ნაწერი წერილი მაქ. ის ჩემთან ძმასავით არის. ახ-
ლა ყურიფელი ჩვენ ხელშია. რაც გვინდა იმას ე-
ხამთ.

— რასაკვირველია თქვენ ხელშია და კიდევ
იხამთ.

— გუშინ „ჩაინაში“ იმაზეც იყო ლაპარაკი,
რომ საფრანგეთს ტყულო მიგეცით ანტაშონია.
ესია ზარაზი ყველაფერი ერთნაირათ უნდა იყოს.
მაღე წავართუმთ ნუ გეშინია.

— ინგლისს რაღას უპირებთ, ივან მიხაილიჩ?

— ინგლისს ნაშ; ინგლისს რა ბუზებია. ინგლისს
ნაშა ადელენია. ნაპლევატ ნა ინგლისს!

— გერმანიას?

— კაკოი გერმანია ჩერმანია! ჩვენთვის სულ
ერთია. სკაიეტ სოუზ, ნე ბუდიტ გერმანია!

— კავკასიას ერობას მისცემთ?

— ხე-ხე ხე! კაი ჩორტ, რის ერობა-ბერობა!
აი ბერობა მართალია მართლა ნუენი დატ. ქრისტეს
მცნებამ უნდა გაიმარჯვოს; აბა! ჩემი ძმა და მე
ტყვილათ ვყოფილვართ სახენწიფო სამსახურში,
არა? ია ხტო ტაკოი, ა? ხტო ია ტაკოი? ია პრი-
სიდიტელ სოუზა რუტკეო ნაროდზე, გესმის შენ.


კარგი რომ არაფერი მომელოდა ცხადთ ვზე-
დავდი და ვარჩიე ინტერვიუსთვის პოლოკონიკო.
ჩემს ბელზე ერთი „წვერი განყოფილების“ მამო-
ვიდა, ივან მიხეილიჩი გარეთ გაიხშო და რაღაცაზე
საიდუმლო საუბარი გაუმართა ალბათ საფრანგეთის
ანტაგონიზე. მეც ვიღროვე ავიწყვე ფრთები.

უკან შემბრუნებულ ივან მიხეილიჩს, რომ იქ
აღარ დავხვდი, ძლიერ გაუკვირდი. მეორე დღეს
„პარტიულ კრებაზე“ ყველას არწუმებდა:

„ღასპოდა ვერა ია ვიდილ ანგელოზა ის
ნაშელი კრია, ნასტაიშაილო ანდელიოზა. ონ მინე
გოვარილ პობრაკი...“

მთელი „კრება“ აღტაცებით შეეგება ამ სას-
წაულს და პარტიცემულ თავმჯდომარეს „ქეშპარტი
რუსთა“ კავშირის ნოვოსელის განყოფილებისას,
ივან მიხეილიჩ ანდელუაძისგ, წმინდანთა შორის შე-
რიცხვას პირდებოდა.

ეშმაკი.



**

ბედმა ტალახის-გუნდა მესროლა
ბნელის კუთხიდან, ავაზაკურათ.
მე ეს პირველი კი ავიციინე
და ისევ დავრი კაკი-კატურათ,
მაგრამ შემდეგ ის მეორეს მესერის,
შემდეგ—მესამეს, მერე-კიდევ სხვას...
წინ და წინ ვიცი, არ მომსვენებს,
თავზე დამატებს უსაზღვრო რისხვას!..
გავიქტე!.. არა... ჩემებრ დენილო,
მოდი და ძმურად მომეცი ხელი!
ერთად ვიბრძოლოთ: და... გვიმარჯვებთ,
ან და... გვიმსხვებულვებს ცხოვრების ველი!..
სუსტი ყოველთვის შეეწირება:
ეს ხომ ცხოვრების კანონ წესია!
და ჩვენც ცალ-ცალკე არ უნდა ვიღგეთ:
ერთად თუნდ დავწყდეთ, უკეთესია!..

ნ. ზომლეთელი.



დექემეები

(სამეგრელოს სააგენტო)

გურული სტეგანა

ბანძა ადგილობრივ მთავრობის ნებართვით დაარსდა „მკითხვე ქალთა პრაფესიონალური კავშირი“. თავმჯდომარეთ გულუ დანელია აირჩიეს.

ძველი-სენაკი. ექსევი ხოფერია შეთანხმებულია დირექტორთან, რომ წელიწადში მხოლოდ სამჯერ გამოიტყულოს მასწავლებელი.

ახალ-სენაკი. სპირიტონ ენუქიძე ლოგინათ დაეცა. მიზეზი საოლქო მზრუნველის უქაყოფილოდ წასვლაა. ფილიბე გულ შეწუხებულია სპირიტონის ავთამყოფობით.

აბაშა. „მედიცინის ფერწალი“ აბულაძე ახლო მომავალში ლექციას წიკითხავს ამ თემაზე: „რამდენად საჭიროა ფერწალისთვის ნათლა—აფექტური, როგა ფერწალს ფერწალისა და რეკლამების წესის არა გაგება რა“.

იქიდანვე. ინტელიგენტ-კანწისტა ჯგუფს განზრახვა აქვს შეიძინოს ერთი არღანი და გამოიწვიოს ორთაქალის ბაღიდან ერთი მებაბათე.

სამიქია. მასწავლებელ ილია მიქაძეს უთხოვნია სადაც ჯერ არს, რომ მას ბოქაულის ფორმის ტარების ნება მიანიც მიეცეს, თუ ბოქაულობას აღარ აღირსებენ.

სუჯუნა. მამა მიტროფანე ბლაღოჩინობაზე უარს არს.

იქიდანვე. საბაშვილს განზრახვა აქვს ცალკე წიგნათ გამოსცეს ანგარიშები სუჯუნის სამკითხველოს სასარგებლოთ გამართულ წარმოდგენისა, რადგან მის მიერ გაზეთებში მოთავსებულ წერილებით არ კმაყოფილდება. ამ ანგარიშებში სხვათა შორის მოთავსებული იქნება, თუ ქანჭარი სხემ რა ნაირად შექანჭა და სამკითხველო კი როგორ დარჩა პირში ჩაღა გამოვლებული.

ს ა ბ რ ვ ო ს .

შენ იალბუზის მწვერვალზე ზიხარ ყელ-მოდერილი, თვალზე—ელვარე და ნათელ შუქს ფენ არემარესა, ვით მოკაშკაშე მზე, ვარსკლავი მთვარე! მე ფრთებ გაშლილი მოვფრინავ შენსკენ, რომ გემბორო ბროლის მკერდზედა, მაგრამ გზას მიკრავს, ბოროტი სული, ურცხვთ მითითებს მოაკლემბეზედა!

ოხ, როდის, როდის დავამსხვრევ იმათ, რომ თავისუფლათ გაინაწარდო, შენთან მოვფრინდე, გადავებეო, ჩემო ედემის ია და ვარდო!

გ. რუხაძე.

— ახლა მევიდა ვთქვათ მორე ქორწილის წიგნი და კონვერტზე არ აწერია: „მეუღლიანფო“; იქნება მიანძელს ქე უნდოდა მეუღლიანებ, მარა წერალს დაავიწყდა შექინება ერთი უშველებელი, ჩამოუშობს ქალი ცხვირს. ვაკულუმბურდება, დფრწებს ზღუქუნს: ვაი ჩემს დღეს, ვაი ჩემს მოსრებას გაცივი ცენტრამის ასავდებოც შევიქენი, ყოლიკავი დაბაიჯა და მე არ მიკადრა, მარა რაც მჭირს მე ყველია ჩემი ქმარისაგან მჭირს, შინოურს რომ ავდებული ეყოლები გარეშე ავიგდებს აბა რას იქს, ჩემ ქმარს რომ ერთიჯახე ჩემი ხათრი ქონდეს ერთი, ფინჩხა მერიდებოდეს, იქინეი რავა წავალ, იმას რავა ვფროვი, მისალოცავს რა მუტანს იმფერ გუუზდელს, იმფერ გუურეცელ ვალაბს, იმ ქვეყნის მუტაკიან ვინც ქალის დფასება არ იცის, მე რავა ხასა ხომ არ ვეგონე უგვირგვინო, ჯვარ დაუწერილი ხომ არ ეყოფილვარ სხვა თუ კი მახსენებს ქირში და ლხინში მაგ გუუნათლებელიზა, მაგ ფებს დაფურეშებულეზა, მაგ ცხვირ მუტოცელიზა გველის წიწილი ხომ არ შემიწავს.

— ლუწუკებ ნუგეშს—მარა არ გაგოწრეს ღმერთი, ვეფერი ვერ შამუკარო.

— რას ჩივი ბოშო გრაცივი რავა არ დეგაი ჯებდა ხომ იცი მოყვარვა და ან მოყვრობით ან მეზობლობით იკ გახსენება. მაგი უთუოდ წერილის ბრალოა—ჩვენსას ქორწილზე ცოლიანათ იყო და თექვსმეტი აბაშა მეტაბა ხომ გახსოვს.

— თექვსმეტი სახარებამ გააცხებია სული, გათხოვამდე ვასენვა მისი შავტრუხაი, ახტაუჯაი, დაბლილული ცოკიაი. რავარიც კაცია იმფერი მჯლაბნელი წერალი ეყოლებოდა წერას გადაყვა, საწერელი გულუნდა ხელში, ილანჯუხი შეუყარა და იმან მულწინჩქვალა ორივე ხელები, მარა ან კი მას რას ეფრჩი, რა მისი ბრალოა, რაც უთხრეს იგი დაწერა. ყორიფეოი შენი ბრალოა, შენ არ ვინდა მიკადრო, თვალი გამაქყერიო ჯარში გამარონ-გამომარონიო, რავაც შენ ვკავარ ავდებული, დავესხა თავზე თავსხლაფი, ისე ქე ამიგდო სხვამაც მე რომ შენს ადგილას ვიყო რავა წავალ, თუ რამე აქ მოტანალი იმის შექმლიცი კი აქ, არ შეფერგო და უნელათ, წიენკალა, რაც შინ კირკლები ყავდა ყველია შეიყვანა ქორწილში, რაც ქამებს ქამებს და არა დასუუნული წვიციდენ—რავაც მან ავიგდო ისე უნდა ეიგლო შენც, თუ რამე ამოტანილი, ვინცხაის ხელით გუშუზანე და წუუგდო.

აი ჩემო ძამია, ამფერი უბედურება ავიდულდებოდა ოჯახში ერთი დერი სიტყვიზა. გოჯიას რომ კონვერტზე დიფწერა „მეუღლიანფო“ მაშინ კი

საქართველო
საბჭოთა კავშირი

მოყვარე იქნებოდა. ლამაზი გასახიფციე ეყოლე-
ბოდა და ვერც დავაქლებოდი. ახლა არ წვეიდე
განავალეზი აქ, მოყვარე და მევიჯაყები, წვეიდე და
მშვიდობით გამოიმცხვარო ქაღო და შენღელებულო
ლობიდე—მშვიდობით ღამე ძილო და ღღე მოსე-
ნებაე.

პიტნა.



შ ა რ ა დ ა.

მსურს ღღეგანღღეი შარადა
საცინარ გეგმით ავაგო,
საცინარივე სიტყვები
მოგნახო გავაჩანავო.
საცინელ საგანს შეგებო,
(თუნდ თავი თვისი წვაგო)
ნუ შეგაშინებთ სიძნელე,
საქმეა საამხანავო.

ბუნების არი მოვლენა
მისი პირველი ნაწილი;
(თავშიგან მისი ვლენითა
იტანჯვის ბევრი ყმაწვილი!)
ხან მძლავრი იციხ ნავარდი,
ხან კურავს მშვიდათ, წყნარათა,
ხან ებრძვის ცს და ქვეყანას
ხან ეტრფის გასახარათა
მოსწყვიტეთ ბოლო ანბანი,
ღანარჩენს მოუარეთა,
(ვინც გამოიქნოს, ნუ ისერის
სხვის გასაგონათ, ვარეთა.)


ახლა მსურს უღრან ტყისაყენ
პირი გაქნო მე თქვენა,
იქ, ამ სოფლიდან ვაჭრილი
რაოდეა ჯგუფი მქვენი.
ჩვენში, ამ ჯურის რაინდებს
ბევრგვარი ჰქვია სახელი,
(სიამეს ვერა გამოცდის
მდიდარი მათი მნახველი!)
ჩვენ დავიჭიროთ იმათგან
მხოლოდ ერთ-ერთი, ცალადა,
თორემ სიმრავლე, ყოველმხრივ

გავგინდეს ხათბალითა.
ერთსაც ვთხოვთ: ამა ტუნადეს
ზიანი მისკით არარა,
რამეთუ შარადისათვის
გამოგვადგებ-ს აღარა.
ნუ გავავრძელებთ, მესამე
ენახით საჭირო საგანი...
გაღასახალი რამე
ხუცებთან შემოსასტანი.
ღღეს მასზე მოსთქვამს უწყალოთ
იმერულ გღებთა კერია;
მისცეს? რა მისცეს, არა აქეს,
არ მისცეს? შენი მტერია!!!
სახლს გამოუტლის „ბოჩიკი“
მოხვდება მუშტის წვერია,
და თუ მარტო ეს აქმარეს,
ეგ კიდე არაფერია!..
მგონია არვის დაურჩა
ნათქვამი უცნობელითა
(და თუ ასეთი ვინმეა
მათრასი უნდა ხელითა!!)

მაშ ჩაუყვეთ ისევ შარადას,
ჯერ ბევრი რამე გვაკლია,
მე ვფიქრობ ამა შარადას
მარტო სიგრძე აქეს ნაკლია!)
ჩამომითვალეთ მხეცები,
ჩვენი ტყის ბინადარები,
ყველა ღიღი და პატარა,
ძაღლის და კატის გვარები!
მაგრამ იმათში ერთია
ღღეს ჩვენთვის მოსახმარები,
(წააგებს ვისაც ბატი უკავს
იმასთან განაბარები!)
კოწია თუმანიშვილსა
ჩამოგავს გასახარები,
მიწაში უყვარს ცხოვრება
და უყარს სახლის კარები
(იქნება იუკადრისოთ
მხეცი კაცთ შესადარები,
მაგრამ გარწმუნებთ, იმდენათ
არაა გასაჯავრები!)
თანაც ამ პაწა ნადირის
კული არა ღირს თრევათა,
მოსჭერით, გამოგვადგებთ
ღიაცთა უელსახვევათა.
შემღდე გვეკრია ავეჯი!
ზედ ცომათა მოსახლეოვი...
(მაგრამ, ვით ფოთი უწოდებს
და არა სიღნაღ-თელავი)
მასაც ანბანი ბოლოზე
ტყვილა აქეს მიკრებულთ
და გიორვეთ გამოჩინოთ
ღღესტაქარობა ქებული.

აქ მხოლოდ ნაზი ყვავილის
 ბოლო და გვინდა ცალათა
 და თუ თქვენ არ გასურთ მონახვა,
 მოგაძებნინებთ ძალათა.
 რას ქვია, ღმერთო, მომცალი,
 ეს გულციობა ბოლოსა?
 მხამს მოშარადე სულ-მოკლე,
 ქვებითამქ ჩაიქოლოსა!
 გათავდა! მაღლი უფელსა,
 მან მოგვანიჭა მხნეობა,
 შარადის განსანაკვეთებლათ
 შრომა და მომპირნებლათ.
 ხომ ხედავთ, შესდგა ერთბაგარი
 ქართული სიტყვის ხელობა,
 რასაც წარმოშობს-სიკოტრე
 და ნიჭთა მოუსვლელობა?
 რასაც ხელს უწყობს სიუქმე
 და არა მოუცლევლობა,
 რომელიც, საქმე ძნიადი,
 უბრალო გახდა ხელობა!
 ყველას ფეხებზე ჰქიდია
 ამ დარგში საქმის ძნელობა,
 ოღონდ კმაროდეს მელანი,
 ქაღალდის საძირკველობა,
 თავთ უბადრუკი აზრები,
 და თანაც ენა-ჭრილობა,
 (ზოგჯერ და ზოგიერთისთვის
 უცილო ჭკუა-თხელობა)
 რომ ამა დარგის მოხელემ
 გამოიჩინოს ქველობა,
 შეჰქმნას საგანი, რომელთა
 ვარჩიოთ დაუთველობა,
 რამეთუ ამა მოხელეთ
 თუ სწყალობს გამოცემლობა,
 თუ კი ქაღალდი იშოვეს
 და „შეგმნას“ მისცეს მსვლელობა,
 ვერ გააჩრებს ვერარა
 რჩევთა დამხაჯველობა,
 ვერ გასკრის ვერაერთარი
 სიტყვის კილო და მწველობა.
 აქ კი გაჩნდებოდა, შარადის
 ფრიალ დაეტყო გძელობა,
 ახლა ნიქს (გამომცნობელთა)
 მივცეთ საჭირო მსვლელობა.

კოლო.



მილიუკოვი და კონსტიტუცია.

(სატირიჟი)

მილიუკოვმა ერთ თავის მგვობარს უთხრა:
 — მე შენ დაგიმტკიცებ, რომ რუსეთში უე-
 კველათ არის კონსტიტუციითა.
 მივიდნენ გოროდოვოისთან.
 — გამიგონე ძმობილო, გვითხარი თუ ღმერთი
 გწამს, ხომ არის რუსეთში კონსტიტუცია? შეეკით
 ხა ზრდილობიანათ მილიუკოვი.
 — მე შენ გიჩვენებ კონ... დაიღრიალა გულ-
 მოსულმა დარაჯმა.
 — აი, ხედავ? მზიარულათ შესძახა მილიუკო-
 ვა, რაკი მიჩვენებს სჩანს რომ ყოფილა კონსტი-
 ტუცია!



* * *

გული, ძმავ, გული გამიხსენიო.
 შიგ ჩამახედე, მსურს წავეითხო
 განვიღო ცხოვრების ჩანაწერიო.
 მწვავე წარსულმა რა გიწყალობა,
 უსასოება, თუ იმედიო,
 მითხარ, მე მტანჯავს შენი ბედიო. .
 ავრე მკითხავდი მაშინ მგვობარს
 ჩაფიქრებულსა არსთან ერთად,
 კეწნით მოტულს და თითქმის გულმკეცდარს.
 პასუხათ მღვდლომ ამოიგვნემა,
 კაშკაშა მთვარემ სხივები გტყორცნა,
 შეუქურმაქ ციდან ნახათ ჩაგოცნა: . .
 მე კი ვიჯექი უხმოთ, მღუმარე,
 თითქოს შენი ხმა არც კი მსმენია
 და ჩემებრ ღუმდა იქ არე მარე...
 ვერც ახლა, ძმავ, ვერა ძვირფასო,
 პასუხს ვერ მოგცემ, გულს ვერ გაგიხსნი
 სევდის არტახებს ვეღარ ავიხსნი.
 ძმადრმა ტალღებმა რაკ ჩამიწერა,
 საიდუმლოთ მაქვს, მხეს ვერ ვანახებ...
 მას მივ წდვიე მე ბელის წერა:
 უნდა ვატარო ის ბოლო გულში,
 თავს გველო უნდა, როგორც ფარვანა
 ხან სიხარული, ხან კმუნვის ნანა
 უნდა ვუმღერო... უნდა ვუმღერო. .
 არსება ჩემი უნდა ვამსხვერპლო,
 გუნდრუკი ვუწეა, ჩანგი ვუძღერო...

იქნებ ოდესმე ნათელიც ნახოს, გულს დაკუბული გადმოვანთხობა და არტახები დავფხრიწო-დავხობა, თან წარღნის დროში ავაფრიალო, კვლავ მოვავლინო ქვეყნის წამრეცხი მქუხარ ზღვირთნი ავაგრილო...
 მაშინ შენც ნახავ ჩენს გულის ნადებს, ძმო ძვირფასო და მეგობარო, ჩემო ერთგულო, ტუბო სავანარო...
 ეხლა კი... ეხლა ნუ შკითხავ ასე... ნუ გსურს გამიხსნა ტანჯული გული იღუპულ ზრახვით, ფიქრით აღსასევ...
 რათ გიშლი ამას? ვფიცავ—არ ვიცი...
 იქნებ იმისთვის, რომ მისი ბედი მეც თვითონ არ მშაბს, არ მაქვს იმედი!..
 ან იქნებ მისთვის, რომ არ მსურს ჩრდილი ჩემი გულისა—შენც გიზიარო ისედაც ნატანჯეს გიძღნა გულს მდილი.
 არ ვიცი... არა! ვთხოვ პასუხს ნუ მოხვებ...
 დე, ვიყო ჩემთვის, დამტოვე ასე იღუპულ ზრახვით, ფიქრით აღსასევ...

3. მალაქიაშვილი



მოკითხვის უხტარი მუშაკისადმი.

(გურიადგას)

ეშმაოჯან წაიკითხე
 კვლავ მოგწერია უხტარია,
 უტუიას სანუგეშო
 ერთად-ერთი ის არიო.

საცყარელო ბიძია ეშმაკო!
 ოზურგეთიდან წამოყვლიო არ მიწოდდა. მსურ-
 და ერთხანს დამტკბარიყავო სამოქალაქო სკოლის
 მოწაფეთა სიხარულით—მიწოდდა აგრეთვე მუყურე-
 ბია, თუ რამდენი მომხიფიანი წარუდგებოდა კაცა-
 სისი „შაპოჩიტულს“ მიწოდდა ჩემის თვლით მენახა,
 თუ რამდენ უყურო მოსწავლე ყრმებს უჩვენებდენ
 გულ-მქუხარ მშობლები, მაგრამ საქმე გამიჩნდა სა-
 შური, აკეთიდან შეკრიკი შეხვლა და მიბრძანა
 «არ დაყოვნება ხანისა», დავემორჩილე ბედს, და-
 ვადეკი ქუთაისის ქუჩას (რომელიც ერთხელ შოშო-
 ტაიშვილს რომ ქორწილი ჰქონდა, ქორწილის წე-
 რილში ფრიად ჰოეტურათა შემაყო მელქისედექ
 ათონელმა) ვიარე პირდაპირ ამოსავლეთისაკენ,
 გავცდი რა გავარულის ხილეს, გული ჩემი კვლავ
 აღივსო სიხარულით, ვნახე ადგილი გადაწვარბი,
 ხალხი დაფიქრებული-დაღონებული, ოდებისა ნა-
 ველით იკუნტებოდნენ ნაღლის ქვეშ—იყვნენ გა-
 ქივრებაში, მაგრამ ყველაფერს იობის მოთმინებით
 იტანდენ, რადგან ეულოდენ ბ-ნი ჯაბადარისიდან
 «ცნობის ფურცელში» დამწვართა სასარგებლოთ
 შენაგროვებ ფულს. აქ ხმა გავერცხლებინათ, რომ

ჯაბადარს ეს ფულები შენახული ჰქონია „ანგლი-
 ის“ ბანკში და ეხლა იქ არის წყნარად ჩამოსაკე-
 ნათო. არ ვიცი რამდენათ მართალია ეს ხმავე; ვი-
 ცი მხოლოთ, რომ დამწვრები მოკლიან იმ ფუ-
 ლებს, რომლებიც მათდა სასარგებლოთ შეკრიბა
 და მათ არ მიუღია და რომლის შესახებაც დიდ-
 ბულათ სდუმან ქვეყნის ჰირისუფლათ მოვლინე-
 ბულნი.

გავიარე ქუჩა მიმწვართი, გავცდი ქალაქის
 „ჩეტას“, რომელიც ენოა ძრიელ გაუფართობებით
 „მოქალაქეთა“ სახელის მოტრფილვე შენაბდებს.
 გავიარე იმ ადგილას, სადაც წინათ სოლომანის
 „შუამავლი“ იყო. გამახსენდა ვიღაც ბრიყვი ამ
 „შუამავლის“ ანგარიშს გახვითი ეძიებდა, მაგრამ
 არავინ ჰყო ღირსი პასუხისა. გავარე დედაბუის კან-
 ცელარის, „გადადიანებული“ მამასახლისი მათ-
 რასს დამდურებოდა და მისთვის ბოიკოტი გავეცეთ-
 ბინა. ძრიელ მეწყინა, რომ ეშმაკს ერთი ერთგული
 აკლდებოდა და კაცობას იწყებდა.

მამასახლისა არ შეენის
 ხელში არ ეყრას მთარხი,
 და გლვებს ისე არ სცემდეს
 ვით თხოვებს კარგი საღამო.

გავიარე მშვიდობით ნატანების უწყლო ხიდე-
 ზე, ისე გადავლახე ნასაკირალის ქედი, რომ არც
 არავის გაუძარცვივარი და არც არავის მოუკლა-
 ვარ. ჩავედი საწყალ მომწვარ ნაგომარში. ეს დაბა
 როდისმე დაბობდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც კრი-
 ლოვმა განახდების ოპერაცია უყო, ძრიელ ჩამო-
 ქვეითდა. ახლა როგორც იყო მაინც მოუშენებ-
 ნიათ ორიოდე ტარანის გასასყიდე ღუქნები და სა-
 მიკიტნობები. დავიწყიათ მხოლოთ, განენახლებიათ
 ოდესმე მშენიერი ბიბლიოთეკის შენობა, რომლის
 დამწვარი კედელი-საკოდავთ დაუდებულა.

ნაგომარინან აკეთისაკენ გადაღუბვი, გვეცი
 ნავზე და პირდაპირ კანცელარიაზე მივედი.—ყოჩა-
 რი მამასახლისი ჰავედ აღარ დამხვდა, ის 18 წე-
 რიწიდა ემსხარა სოფელს; მაგრამ „სოფელმა იგი
 ვერ იცნო“. ახლათ არჩეული მამასახლისი, თავისი
 მწერლით, მასაყის შემდეგ დასასვენებლათ ჩაუბრძო-
 ნებიათ და სოფელსაც ვგზავნიკით ემუქრებინან.

მოგახსენდათ, აკეთში ერთ დროს, როცა გუ-
 რიაში მასწავლებლები მასწავლებლობდენ და არა
 „მაჭაფებდაზენ“, არსებობდა „გურების სახალხო
 წიგნთსაცავ-სამკითველო“. მთელი გურიისათვის.
 სამკითველოს ჰქონდა საკუთარი შენობა; ავეცი და
 ძვირფასი წიგნები. დღეს კი რას ვხედავთ: არც
 სამკითველო და არც წიგნები—ყველაფერი გამქრა-
 ბა. მოდი და ამის შემდეგ აკეთელი კულტუროს-
 ნების ოწამე რამე.—საცა არ იყო, იქ დააარსეს,
 საცა არ ქონდათ, იქ შეიძინეს, ამათ კი შენებენ
 გაუბრძობათ—სამკითველოს მაგივრათ „ჩერეზ-
 ცელა“ და „დედებასე“ გაუჩრბობიათ. მეც
 ყველას თავთავზე მთარხი და სევდიანი გულის გა-
 საართობათ გავერისკენ გაყვევი.

შენი უღირსი მაგიქულო უბუ??



მეს სვირული.

ხელში მიჭირავს ქამანჩა
 გაებერავ ნეო-ნელათა,
 დაუკრავ, დავაზუზუნებ
 სიტყვას არ ვიტყვი კრელიათა,
 სწორეთ დემელერავ იმასა,
 რაც გულში მიძევს ძველათა,
 და თუ არა ვსთქვი, ეშმაკი
 გასწყურება უმეველათა.
 (თუნდა არც ვაწყურეს ეშმაკი,
 გულში შესობა მწველათა),
 მინდა ვეწვიო ქალაქის
 „უპრაფის“ სამღერელოთა,
 მოუთხრო მისგან რაიცა
 ხალხისთვის არის მკველელათა;
 რადგან მას სახვეწ მცხოვრებთა
 გაჭირვებისგან მხსნელათა,
 და ვაჭრებისა სასტიკი
 თავზე მდგომარე მცველათა.
 სასწორანი გამოუცვალა
 სისწორის საძირკველათა...
 ესრე იხმარა მან ხერხი
 მატყურით დამთრგუნელათა
 მეჭურეებსა და ყასბებს
 თავზე დაატყდა ბელოთა


ამ საშუალებამ მცხოვრებლებს
 სულ ჩაუარა ტყუილსა და სწორს
 (რადგან ვაჭრებმა, სწორსა და
 საქმე ხერხდება ფულათა,
 კონვერტი, მას შიგ კანქარი
 ქრთამია დაფარულათა!)

კარგად იციან მათი ზნე,
 კანონს რა უძევს რჯულათა,
 სვე აქეთ გარდაწყვეტილი
 მიართვან დიდებულათა,
 მათა ჰგონიოთ: მცხოვრებლებს
 არა ესმით რა ყურათა;
 (რაც კი რამ ხდება შიგნითა,
 ყველა იციან სრულათა!)

ესე ამ რიგათ ყასბებმა
 შეკრეს საერთო პირია,
 ნიხრი მიამეს კედელზე,
 როგორც ახუნას ვირია...
 ნიხრი იფულ გვიცხადებს,
 ხორცი კი ისევ ძვირია,
 ამ ნიხრზე ხორცის შეძენა
 ძალიან გასაჭირია,
 თუ არ გაფრთხილდი, მაშინვე
 მოგხვდება ცულის პირია;
 ამისა გამო ყასბებში
 ჩხუბი ყოველთვის ხშირია,
 ისევ შენ, ჩვენო ეშმაკო,
 გაჭკარი ვისაც სჭირია!..

ახლა მეპურებს მიემღერ
 რაქველებს ფარახლებსა,
 რომელნიც პურის საბადლოთ
 სასწორზე სწონენ ხელებსა,
 ნიხრი მიუკრავთ უკულმა,
 სთხოვ და გიჩვენებს ძველებსა;
 შაურის პური თუ გინდა,
 სამ ჩეთვერს მოგაშველებსა.
 თუ უთხარ რამე ამაზე,
 ნელ-ნელა ჩაახველებსა,
 გადმოგიჩტება დახლიდან
 და გვერდებს ვაგიცხვლებსა...
 არ აწყენს ვგონებ მათრახი
 არც ამათ ბეჭებს სქელებსა,
 თუ შენ არ ქენი, უპრაფა
 საქმეს არ კიდებს ხელებსა.

კიდევ დაუკრავ მე სტიკრისა
 ვიღრე გულდაში ქარია,
 უბრალოთ რისთვის დავსცალიო
 ჩანაბერ ამაგდარია?
 მინდა ამ დაცვრიო მოვნახო



ნაცნობი ბანკის კარია
და იქაც შევილიდინო
ორიოდ სიტყვა მტბზრია.
ვკითხო: ის ჩემი „რეცეპტი“
ვის როგორ მოუხმობია?
სენი გაკურნა თუ უფრო
სენმა ნამეტან დირია,
თუ ენახე კიდევ სურიათ
თითო მათრახიც ჰყარია.

ა. განჯის-კარელი.

„სახელმწიფო ღუმის თმემღომბარის ამხანაგმა თავად-
მა ვოლკოსკიმ განიზრახა: პრესის წარმომადგენელთა აღ-
გის მოაჯირი გაუკეთოს, და ამგვართ დაუბზოს გზა და-
მის კულუარებში შემოსასვლელათ“



საუხსოვო მოგონება
(სატარია).

— ბატონებო, რასა შევბით, ეს რა ამბავია?
— არაფერს. ჩვენ ღუმის წვეგრებიცა ვართ და
იმავე დროს ჟურნალისტებიც. ვაზეთებში ვწერთ.
ამიტომ ერთსა და იმავე დროს გვიხდება ორივე
ალაგას ყოფნა. ჩვენც სადემუტატო ნახევარი ღუ-
მის კულუარებში გვაქვს და სამწერლო კი მოაჯირს
გადაღმა.



განათლებულა მონადირე გელურ ქვეყანაში!

* * *
ძმავ შეგობარო, ნუ გაიკვირებ,
რომ ჩემს მღერაში ვაისმის კენესა,—
მე გვლოვობ, ვტირი სიზმარებერ განვილილს
თავისუფლების ბედნიერ დღესა.

—
მოითმინევი!.. მაღე შესწყდება
გამომახილი გულის სახილის
და გაისმება სულ სხვა ჰანგები
ჩაწნული სხივთან რიერაჟა დილის.
დ. თურდოსპირელი.

არქიმოლოგიური ნაუფინეულის
განხილვის შესახებ

(„ეშმაკის მათრახის“ რედაქციის არხივებში აღმოჩნდა ეს
ფრიად საგულისმბიერო დოკუმენტი ჩვენის წარსულისა. ის
აღბალ შეგება მესამე საუუნეს ქრისტეს დასაღებამდე და
ჩვენც ვებძდეთ ქართულ საარქიმოლოგო საზოგადოების სა-
ყურადღებოთ).

ზირას-ზარა.

რა შემოსავალი ქონდა აქამდის სოფ. მღვდლებს:

- ა. ნათელისათვის ერთი აბაზიდან ერთ მანეთამ-
დის და სადილი.
- ბ. ქორწინებისათვის იღებდნენ ერთი მანეთი-
დამ ოც მანეთამდის და ზოგჯერ სამ თუმნამდის.
- გ. მიცვალეხულის დამარხვისათვის სამი მანე-
თიდან ოც მანეთამდის და ზოგჯერ სამიდან ოთხ
თუმნამდის გარდა ამისა ნიშანი იცოდენ.
- დ. აიზმისა და ზეთის კურთხევისა ეძლეოდათ
სურვილისამებრ მისი წამლისა.
- ე. მებუთე აღდგომის ულუფა იცინ ზემო მხარ-
შიდ: ხორცი კვერცი ღვინო პური გამოცხობილი
რომელიცა ეღირება მავალითად სამ აბაზიდან ხუთ
აბაზამდის.
- ვ. წირვას ვინც ისურვებს ერთი ან ორი აბა-
ზი და სადილი.
- ზ. საყურთხისაგან ნახევარი და მეტიც. პური
ღვინო და ხორცოული.
- თ. მოწმობისათვის სარგვირგვინოსა, წლოგა-
ნობისათვის ორი აბაზიდან ორ მანეთამდის.
- ი. აღაზხედ პური ხორცი და ტყავი საკლა-
ვისა.

- ი. ზიარების მიღებისათვის ორი შაურიდან
ოთხ შაურამდე ადგილ-ადგილ.
- ია. სამღრთო რომ ექმნებოდა ვისმეს ერთი
აბაზი პური ხორცი და ტყავი.

რა უნდა მისცენ მრევლმან მღვდლებს დრამის
გარდამხდელ მან კომლზედ ორ ორი მანეთი.

- ა. ნათელისათვის თუ ინტოს ნაოლიამ ჩუქება
მღვდლისთვის მისი ნება არს აჟუქოს სადილი კი
აქამოს მღვდელს მისის კრებულით.
- ბ. ქორწინებისათვის პარველიდან სამ მანე-
თამდის და სადილი.

გ. დამარხვისათვის ოთხ მანეთიდან ათ მანე-
თამდის შეძლების გვარად ვინც ოთხ მანეთის მის-
ცემს ყოველი წესი აუგოს ტრიოლზედ დადაგეს და
ორჯერ უწიროს ათ მანეთში ხუთი უწიროს ვინც
მომეტებულს აწიროვებს ცალკე გაურიგდეს სო-
ფელმა ორი კაცი აარჩიოს და ამ ორმა კაცმა გა-
არჩიოს შეძლებული და შეუძლებელი პატარა ბავშს
პერველიდან ექვს წლამდის წესის ასაგები ორი

მანეთი და ერთი წირვა მერმე კი როგორც დიდი შეძლებული და შეუძლებელი.

დ: აღდგომის ულუფა ან თავისი სინდისით და

ან ნახევარი მის რაც აქობამდის იყო

ე. საკურთხისაგან შესამედი. რაც მოიტანოს საკურთხად.

ვ. აღაპისაგან ნახევარი იმისა რაც უწინ ეძლეოდათ.

ზ. საღმრთო წირვა თუ აქვს სადილი აქამოს და ათი შაური მისცეს ან ზედაში სეფისკვერი სანთელი საკმეველი თუ მიუტანოს ხუთი შაური.

ც. სავერგვინო მოწმობისათვის ნახევარი მანეთი.

პასუხათ, დიდი ჯიხანის, მხნონ-აფთიაქის კომიტეტებს

ჩემს მესტიურულს, ძლიერ აუღლებებო, ბ. ბ. ქსენონ აფთიაქის კომიტეტები. გამოდის თითქო მათ მე კლას ვსამეზღე. არა ბატონებო, თქვენთვის ცილი არ დამიწამებია. და არც ვაზნაზ მდომებია თქვენთვის ჩირქის მოცემა, არამედ მე შეგებე თქვენს მოქმედებას „გაკვრიო“. რამდენადაც ამას, მოითხოვდა, საზოგადო საქმის ინტერესი რომელც აქამდის, ბურუსით, იყო მოკული როგორც ამას თქვენცა ბძენბო, ჩემს მესტიურულში მოგახსენებლით:

1, ორი წელიწადი გადის, რაც თქვენ, კომიტეტებთ ხართ, და ამ დროის განმავლობაში, საზოგადოებისათვის ქსენონ-აფთიაქის ანგარიში არ მივიციათ მიუხედავად იმისა რომ, ხალხს ძრიდელ აინტერესებს გაიგოს თუ რა მდგომარეობა შია ეს ორი იმათი დაწესებულება.

2, ჩემი მესტიურული მოგახსენებდათ „ქანტრებზე“ რომელსაც თქვენ ხალხის დაუკითხავათ ხარჯავთ, როგორც მოგესურვებათ, უკეთონიით, და ისე ექვეით საზოგადოების ქონებას, როგორც საკუთარს.

3, ჩემი მესტიურული, მოგახსენებდათ წამლების დასების მომატებაზე, რომელიც კეშმარიტება არის. როცა საზოგადოებამ, ქსენონ-აფთიაქი, გახსნა და ექიმი მოიწვია 1906 წელში, თქვენ არ ბძენდებოდით კომიტეტებათ. („თქვენ აგირჩიეს შემდეგ ტოლმაჩვიის ჯიხანში ჩამოსვლისა“). მაწმედის თუ წამალი უჯდებოდათ საზოგადოებას ათი შაური, ახლა უჯდება მანეთი, მანეთ ნახევარი, რაც თქვენ თვითონ მიუმატეთ თქვენს მესტიურულით. და რაიცა მძიმე ტვირთად, აწებებ, საზოგადოებას.

რაც შეეხება თქვენ მიერ მოხსენებულს ბნელი ძალეზის გაძლიერებას, რომელიც სურთ ძირა გამოუთხარონ ამ კულტურულ დაწესებულებას, ამის მიზეზი თვითონ თქვენ ბძანდებით ბატონო კომიტეტო; რადგან თქვენის მოქმედებით იწვევთ მას, ჩემი აზრით: ეს მანემდის იქნება, სანამ თვითონ ხალხი არ ჩაუდგება სათავეში ამ საქმეს, ან უკეთ რომ ესტკვით, თავს არ დაბრწყენს თქვენისთანა მამაგე აუკუნებს.

დასასრულ მოგახსენებთ მედიკატორების შესახებაც. რადგან მე არა მაქვს თქვენი სრული რწმუნა, წინადადებას გაძლევთ პირველად დასახელოთ თქვენი მედიკატორები. მე ეცდები დავისაბუთოთ ეს ბრალდებები და ასე რა ვყო თქვენი შეუფერებელი მოქმედებანი თუ კი ეს ვისმისთვის კიდევ შეადგენს საიდუმლოს *).

„იკოლა ბაჭია“.



* *

ცაე, მოპირქუშილი მირისხანეთ, შემოიბურე წყვლიადი, დაუბზე მიწას სინათლეთ, მოუსპე მას განთიადი.

გადმოუვინე სანაცლოთ მირისხანე წვიმა, ხმანი, ხშირი და შეუწყვეტელი სუსხიან ქარიზხლიანი.

წილეთ დაუხოვავათ, ყოველი მრულე ნაშენი, არსად გაუშვა რამ ნაშთი უსამართლობის დამშენი.

მეხო, იგრვინე მირისხანეთ, დასქექე, დაიგრიალე, უსამართლობის ზღუდენი გააოხრ-გაატიალეთ.

ქარო, გრივლო, დაქროლეთ მკაცრად და მდგარ ფრთიანად რომ ყოველივე ბორბოტი წაჭვავო სულ ერთიანად.

სიმართლიშვილი.



*) ამით სპობს რედაქცია ამ საგანზე კამათს. ჩვენ დაგებუდეთ მხოლოდ მედიკატორთა სახელსა და გვარებს და მათ განაჩენს. რედ.



ნაიღუბი ეშხაიუსადი

1876

სამტრელია. გასაუცარი ამბავია თქვენმა მზემ! ადგილობრივი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების* გამგეობა რამდენი ხანია საღათას ძილს შეუპყრია. (საღათას ძილი, როგორც ექიმები ამბობენ იგივე და იგი ლიტარგიული ძილიაო) ვერაფერ თარბა „კაბლეზმა“ ისინი გონს ვერ მოიყვანა. ახლა, როგორც ვაღმომცეს სარწმუნო წყაროდგინდ, ზოგიერთ ვარეშე, მაგრამ გულ-შემატკივარ პირებს განუზრახავთ გამოიწერონ „ემშაკის მთარზი“. იმედი აქვთ ეს საშვალემა უთუოდ გასკრის. ვნახთ.

ხეიო

ოზურგეთი გურიაში კარგათ ცნობილი კომისიონერი*) მ ნაჯაშიძე, ახლო მომავალში შეკითხვის შეტანას აპირებს დღემაში: როგორც ამბობენ შეკითხვა ფრიალ საინტერესო იქნება. ის შეეხება ზოგიერთ ბოქაულთა საღმრთო მოღვაწეობას. ცნობილია მაგალითად, რომ ბოქაულები, მაშანდინა სტრატეგია დახმარებით ეკლესიაში სალოცვად მიღწეიან ქრისტიანებს. ამისათვის საჭიროა სინოდმა ასეთ ბოქაულებს რაიმე ჯილდო დაუნიშნოს.

ბა.

კუხი. წერა რომ დავიწყებ ვადაწყვეტილი მქონდა თქვენთვის ჩვენი წყურალ მამასახლისი გამცნო, მაგრამ ბოლოს ვადავიფქებ და ია რატომ. ბანო ეშხაკო, მე რომ თქვენ ისინი ვადაცნო, სამაგიეროთ თქვენ ჩემს თავს იმათ ხომ არ ვადაცნობთ? ეს იმიტომ მოგახსენეთ, რომ ძლიერ მეშინია მათი რისხვისა და ვანა მარტო მე მეშინია? ჩაიხსენა, ვაიბასქენა, გამოიხსენა და შეიხსენა ამათი მოგონილია. მშვილობით.

პრომა.

*) ალბათ ეს ჩვეულებრივი დავდეგრობაა დეგეშთა საავენტოსი. გურიაში იცნობენ პატრიცელს მ. ნაჯაშიძეს, როგორც „მთარზის“ და არა როგორც „კომისიონერს“. ეშხაკო.

გუბი. ვამედულება არ შაკლია, ძმაო ეშხაკო, მაგრამ იმას ვადაპრით მიანიც ვერ ვიტყვი, თუ რისთვის ყავს აშხვეული ი ვირის ოღწა ძაღლები დიდი გუბის აფთიაქარს. აქ მოსახრება ბევრნაირი შეიძლება. მაგალ თუ საღამო ხანს საქმე დაგირჩა და გზაში ჩალი, მგონი სულ აღარ გეყოს აფთიაქის წამლები ისეთ საქმეს დაგაყენებენ ეს მტებნარები. მაშ შეიძლება კაცმა იფიქროს, რომ ძაღლები წამლის გასაღებლათ ყავს პატრონსო, მაგრამ აი მეორე მოსახრება: მზე რომ დასავლისკენ ვადადგება და პატრონი ძაღლებს აუშვებს, შიშით აფთიაქს მე ვერ ველარავინ უღდება და უწამლოთ იცდის. მაშასადამე იფიქრებს კაცი, რომ ძაღლები პატრონს მუშტრების გასაფანტავათ თუ დასაშინებლათ ყავსო.

ყოველ შემთხვევაში აქ ფიქრით კიდევ ვახდები რასმე, ასეთ ან ისეთს დისკვენს მიანიც გამოიტან, მაგრამ ათასიცი იფიქრო, ათასი თავი იტყვო გუბის სამკითხველს ამბავს ვერას მაპოინენობით ვერ გააგებ. ამის მისაღწევათ მხოლოდ ერთად ერთად საშვალეობა,—ეს ლაღოს ხახვა. მაგრამ ლაღოს მონახვას აღარ იკითხავ? იკითხე თუ გნებავს, მე შენ გითხრა მაშინვე არ ნახო. ის ან ქუთაისში ან იქნება, ან ქუთაისში ან ფთო-ბათუმში და ან სხვაგან საღმე.

გამეული მეთვალყურე.

დ. ხაშურა. ძმაო ეშხაკო! დიდი მოძრაობაა ამ ემათ ხაშურში. მაგრამ „მოძრაობა“ რასაკერვლია სხვანაირი, სხვა ნადავზე აღმოკენებულთ. ამოძრავდენ ის ვაგამები, როლებსაც შენი მთარზი მოხედლათ და ეკვლიან: „შუაზე ვაფიქნეთ“, „წახარბო-ბით“ და ვინ მოსთვლის კიდევ რანაირი სასჯელით არ ემუშქებინან ახლოდ ვადაწყვეტულს, გ—ლოს და წარმოიდგინებ ბევრს სხვა, სრულებით უღანაშულო პირებს? როდესაც პირველთა ვინაობას ვეღარ იგებენ, შემდეგ მუქარა ვადააქვთ „მთარზ-საღაპურის“ რედაქციასზე.

ამ დღეებში ერთი ვაგებატონი თავის ნაცნობს,— იას ეუბნება გულუბრყვილითა: — „დასწყველოს ღმე-

რთვა, ეგაზეთში ჩავდებოა რა შიგონის?.. ვილაყს ჩოუგლივარ „ეშმაკის მათრახში“ (ასე ეძახიან: „მალიანი ავით გვაყავს; ენა დაღუძვლილი.“ მა, ისეც რა უთხრა მას... 7-8 წელიწადია ფრჩხილი არ წამოშტყენია... ენის ტყვილის კი მიღდემში არა ვიცი-რა, დობტურის სახლი არ ვიცი სად არისო“... ნაცნობმა აუხსნა მას, თუ რას ნიშნავს ენის დაღუძვლებაო,—ამ განმარტების გაგონებანზე ის ძალიან გაბოზდა. სამი იცადა რა ენა. ვადარეულობით ხტოდა მიღლა და თან ყვიროდა: ვიცი ეს ვისი დაწერილიც არის, მას «ლოკიროვანი» ჩემები აცვია, (ძალიან არ ცოდნია?), მას მე უჩვენებ თავის სერისს!.. წავახრობა!. ყველას დავათხივიებო დასხე ..

ს. 3—ლმი კი, ვინ მოსთვლის რამდენ ღობე-ყორც მივხალა, რამდენ კაცს სიკვდილით დასჯა ვადუწყებო, რამდენი ლამადა და ბოლოს კი თფილისისკენ ვასწია პირველი მატარებლით.—იქ დიდი, —რედატორის სისხო კაცს მუცას ნაცნობი და იმას შეუჩვენ რედაქციას, რომ გ—ლის ვინაობა გამოვოს; და შემდეგ მე ვიცი ვის რას უწამო...“ და სხვა...

ესე გაბრაზებული ვხეუქებიან იქით აქეთ სხვებიც. სოვი მათგანი თავიანთ დანამაულისკი ალიარგებენ...

ასეა ძმო, ეშმაკო, აქ საქმე, მაგრამ მიუხედავთ ამისა, უმათრახოთ მაინც ვერ დატოვებთ მათ პატივცემულ ზურგს. ყველანი, ყოველიოდის თავის კუთვნიულს მიიღებენ, და ამისთვის კი, ნურაფერს უკაცრავად ..

მა როგორ არ უნდა გადასეცხით თუნდ ორ-მიაციოდ მათრახი მაინც სახალხო უნივერსიტეტის მომწესრიგებელ კომისიას? მათ საქმის მოწესრიგებას სრულებით ვაანებეს თავი და თუმც მრავალჯელ შეფიქთხა პირადათ მათ და ავრთვეგ გაზეთის საშვალეებითაც, ხალხი: „რა ბედი ეწია სახ. უნივერსიტეტს ამ მოკრეფილ ფულსითა?“, მაგრამ ისინი მიერ სრული ორი წელიწადია სინკუმიტ უპასუხებენ. ხომ იცი? ოჩანი ხარი, როდესაც უფლის არ მიაწივება,— მას სახრეს ვადაკარავენ; ხოლო ჩვენ კი, ასეთ გავამებს ეშმაკის მათრახით უმასპინძლებდით. უმათრახოთ ვერ დატოვებთ აგრეთვე მიხანლოვის დევბოს და „რემონტის“ განყოფილების ხელოსნების ერთ ჯგუფს, რადგან ისინი კონკურენციას უწივენ და კერძო სამუშევრებს ხელიდან სტაცებენ აქაურ, უმუშევროთ დარჩენილ მუშებს, რითაც საარსებო საშვალეებს უსპობენ- მათ

ახლად გაეშმაკე ული.

სურნამი ამ დღეებში აქ ხმა გავრცელდა: ხაშურელებს სურამის პროკომინაზიის მოძულება უნდათ. ამის გამო ბ. მაჭავარიანმა პროკომინაზიის შენობა ოთხივე კუთხით მაგრათ დააბა მავთულებით და თან ვადლიერებელი რაზმი დააყენა შენობის დასაცავათ. ასე, რომ პროკომინაზიის დაძვრა სურამიდან, ახლა ყოვლად შეუძლებელია; ხოლო დაცლას კი ყველა მოელის. .

ა. გ. გ.

ხონი. სამოსწავლო ოლქის მზრუნველის ჩამოსვლამ ხონის საქმე დიდათ წასწიწიწინადაცრობამ საკონტობლოთ აიწია. მეტადსაქმეშია ვიცი-და წინდა სათაღობი, რომლებსაც მასწავლებლები ანთებენ მშვიდნობით ვადარჩენისათვის. ეს მადლობა არ არის უმიზეზო. როგორც ამბობენ მზრუნველის ჩამოსვლამ ყ ადგილობრივ-მასწავლებელს შეურუხაველი. (ერთ მათგანს, როგორც შემდეგ გამოირკვეა, ეს მარცხი სიმთვრალით მოსვლიდა და არა შიშით.)

პროლ. ეშმაკი.

იქიდანვე. ხონის მსხვილ მწარმოებლებს საბოლოათ ვადუწყებთათ ქუთაისამდე ავტომობილის ნაცვლათ ბლერიოთი იმოგზავრონ. ამ მიზნით მოახდინეს კრება და დაადინეს გამოიწერონ ქუთაისიდან, ან სამტრედიიდან 5-7 ბლერიო. ერთში დამსწრეთაგანმა, რომელიც კარავთ იცნობს მავრში ფრჩხის საქმს (ვინაშენ ორჯერ ვადმოუვლიდა მეორე სართულის ბალკონიდან) ექვი გამოსთქვა ამ საქმის სასურველათ მოგვარების შესახებ. მეორე კი, (რომელსაც თურმე ერთხელ გაზეთი წაეკითხა) განაცხადა: ბლერიო კაცის გვარია და ვასაციდთაც ვერ იშვინეთო.

3. შმ.

ყწერი. ჩენი მამასახლისი და მწერალი ძლიერი მოწყენილი არიან. მიზეზათ იმას ასახელებენ, რომ ვილაყ ბორჯკე-მოქქედს მათთვის ჯობიდან სასალდათო ახალგაზდების ფული ამოკუთვმივითაო. ვერ წამოიღდგენთ როგორ ვავრცელდა ძარკვა გლეჯა, მამასახლისსაც აღარ ინდობენ! აი, აი, აი!! ხეო!

შორავანი. აღვილობრივ ახალ ვაზრობას და ძველ-ვაზრობას ვადუწყებთათ კარტსა და ნარდში მოგებულ წაგებულ ფულებიდან გამოიციხონ მკიერე პროცენტი უფსო სამკითხველთ დასაარსებლათ. ვანზრახულია აგრეთვე თითო შური გადამხდენიონ იმათ, ვინც უწამაწურ სიტყვებს იხმარს საჯაროთ. ამბობენ ამ საშვალეებით და უმათერესად კი უკანასკნელით, იმდენი ფული მოგროვდება, რომ არა თუ ეჭვთსა და ორს, არამედ ორმოც სასამკითხველს ეყოფათ.

პოლ. ისინის ნათლული.

ღები. (ზემო რაქა) ქვეყნის მოძულება ვაგვიგონია, ძმო ეშმაკო, მაგრამ არც ამ რიგათ. ეს მოუტევებელი მუდლობა თქვენი ეშმაკეული მათრახისა. ღმერთმა მამდენი ხანია დავკვირწყა და იმედი გექონდა თქვენ მაინც დავგვაპაროხნებოდიოთ. ახლა კი რას ვხედავთ: აღარც ღმერთი, აღარც ეშმაკი, მხოლოდ

ივანე პონტოლაშვილსა ხალხი სულ დაუკებია (არ ვიცი კაცურ-კაცობა როლის სად გაუფრენია!) ვისლია ოთუჯამიღობაც

ივანეს მისცა მხარია,
 (მომშეთა თვისთა ოჯახი
 ძირ-ფესვიანათ არია)
 თამაზიკა შვილს ნიასაც
 მაჰკენ უტირავს თვალთა,
 (უკეთ ესთქვეთ: იმათი კული
 და მათი მოჩინალოია.)
 ამ ლებელ წმინდა სამების
 შენ მიეც სამართალია,
 თორემ თუ ასე დისტოვიე...
 ვაი ლებელთა ბრალოა!

ღივილი

ჩოხატაურა. თუმცა მასაც სასწაულთ-მოქმედი ძალა აქვს, მაგრამ ჩვენი ბოქაულის მათრახმა ვერ გახტრა აღგილობრივ მონარდ-მოკარტე ახალგაზრდებთან. ამიტომაც მოგმართავეთ შენ, ჰოი სახიერო მათრახო ეშმაკისაო! მონებელ ჩვენს ვასპირს:

-ღამე ძილი არა გვაქვს
 და ღლითი მოსვენება“
 ესე ვაფბატონები
 ბაზრად რო ესვენებუ.
 მათი ყვირილ ღრილით
 აღარ გვაქვს ყურთა სმენა,
 ქენი მადლი, გაპკარი
 მათრახის კული შენა.

მერცხალი.



ქ ე მ ლ ი.

მე სიტყვა შევისზე, სხადა სიტყვა,
 სასკელო ქვაზე დასწორავი,—
 მასში გამოასთქვი გულის თქმა, ტანჯვა
 და მისწრაფება გაუბედავი!

შემდეგ ზოდებათ უტოვარ კალმით
 მე ამოვხატე შავი გვარგვინი;
 ზედ სახრისებულა, თითუბი, ტყუთა
 და უთავდავი თავების ზვინა!
 იქვე დახატე, სამღვთო სამისაღით
 და ჟვართი სელში, მღორცეუმი მღვდელი...
 ხოლო თავებ შვა ჩასაღუდათ,
 ათეს აჩენს მხოლოდ შექადავი გველი...

იქვე ტბა არი,—ბუჯი, ვოჯო,
 ჭია-მკურები აურადხეული!
 ხოლო მახლობლათ ცას სწვდეს ნებსა!
 ეს უღვთ-თა აწვის მთელა ს-ფელი...
 .. მე ვინატრებდი მისას იგი
 სახადა ადვილს სადმე დადგმული!

იასამანი.



წარიღები რედაქციის მიმართ.

ბ.ნა რედაქტორო! ამ ხანებში ხაშურის მთავრად ბუღმა წერილებმა, ახლად გაქმნავერდის და გ-ლის ფსკვდონიშებით აქ დიდი ჯაჯათით გამოიწვია. ის წერილები, რომლებსაც წერილები ეხებოდათ—ჩემს წინააღმდეგ აამხდრა. ზოგი სიყვდილით შემუქრებოდა ზოგი ვინ მოთვალის რითა, რადგან წერილების ავტორი მე ვგონივართ. გთხოვთ გამოაჩხადოთ, რომ არცერთი წერილი ხაშურის მე არ შეკუთნის.

კონ. ეგნატე ჯობლიძე.

ბ.ნა რედაქტორო! გთხოვთ ახალი მისცეთ ამ წერილს თქვენს ზარევერდულ ფურნაღში, რომ თავი ვინმართლო უბრადო ბრადღებისკან.

ზოგერთი ჩემი მეგობრები*) ხმებს აურდლებენ, თითქოს თქვენი ფურნაღის № 21 მთავრებული „მონსტრება სამტრელიანა“ მე შეკუთნოდეს, ამისათვის ვაძინებ შეითხველ საზოგადოების საყურადღებოთ, რომ ის წერილი მე არ შეკუთნის.

საღ. სამტ. ე. კანაღეიშვილი.

„მათრახ-სვლამურის“ რედაქცია ამოწმებს, რომ არც სამტრელიის მოხსენება ეკუთნის ყ. კობალიშვილს, და არც ხაშურელი კორესპონდენტები ე. ჯგვილიძეს.



*) კარგი მეგობრობა თქვენმა მხემი ეშმაკი.

*
*
*

ხუნდება კაბა ზურმუხტი
კეკლეცი გაზაფხულისა;
ცა მგლოვიარობს... ტრემლები,
უხვით სდის სობრადულისა.

ქენება შეენების ბაღარი,
მისწყდა ხმა, ნაზ-ბულბულისა
კედება ხალისი... თან მიაქეს,
სილაღე ნორჩი გულისა

რალაც იდუმალ-ლილიკით
ჩივილი ნაკადულისა
შირს, შორს გაისმის, მთაბარათ,
დამლონებელი სულისა.

ქარი კი... ქარი მუქარით,
დაპქრის, სისინებს ველათა;
სიტურფეს სტაკებს ქვეყანას
აკენესებს გულ-საწველათა

გ. ქუჩიშვილი.



მათრასის ფოსტა.

დაუბეჭდები მასალა რედაქციიდან არავის არ დაუბარუნდება.

ოჯრახებით. ფრთხილად. წერილი არ იბეჭდება, რადგან თქვენი სახელი და გვარი ვერ გავარჩიეთ.

ქუთაისი. თრ-ოფელელს. არ დაიბეჭდება.

სამბიადია. ბრიგინიშს. თქვენი პატარა წერილი ერთბაშად გაბრკინებულია "ზინაური პოეზიით და ვშიშობთ რაღაც "გობრიგინოსთ" მის დაბეჭდვისათვის.

იმამი. მკვერტელს. მოიღეთ მოწყალეობა, და გავგებინეთ: რის შესახებ იწერებთ ამ წერილში!

ახაზა. ტიტველ ეშმაკს. ნუ თუ მართლა ისე გატიტვლით, რომ საკუთარი სახელ-გვარიც გაიხადეთ? თუ არა და მას რატომ წერილს არ მოაწერეთ?

სადაც იყოს. ალვის ხეს. აი ნიმუშები თქვენი პოეზიისა:

„შეო ამოდი, ამოდი რას ფიქრები მაგ მთასა,
საწყალსა მუშის სადგურსა მუუახლოდნი საწყალსა
აწუკი დრო არის ამოსვლის და შენი თითქო ძირს
მიხვალ
არ გენანება საწყალი და აგრე მასთან კიცი ხარ.“
ასეთი ლექსები, მართალი მოგახსენოთ, ან ცალკე წიგნათ

უნდა დაიბეჭდოს ან ერთად დაწვას. გაუთვრისათვის მათი დაკარგვა ცალდა.

ქუთაისი. მოგზაურ ეშმაკს. წერილი „პირველი ნახვა ვალერიან გენისისი“ პირველი წაკითხვის შემდეგვე უარყო ეშმაკთა ზედა პალატამ.

ქუთაისი. დაჩხირ-მტკებელს. თქვენი ლექსი „მე და ჩემი სალაშქრო“ არ დაიბეჭდება.

ბიათურა. გვოს. ნუ თუ ეს ალექსისა და ქეთევანს ამბავი აცოცხლებს მაგ თქვენი დაბას? გვაცნობეთ რამე ცოცხალი და სინტერესო.

გორი. ალაძეს. თქვენი ლექსი „გმირის სიკვდილზე“ არ დაიბეჭდება. ახლად დამწყებისათვის არ არის შეუფერებელი თქვენი ნაწარმოები, მარა ჩვენი დროისათვის კი ერთბაშად შეუფერებელი და მოუხერხებელია. გმირი, როგორც თქვენა სწერთ, უკვე მომკვდარა და „მათრას-სალაშქროს“ სიკვდილი ჯერ ნაღრვეთ მოგახჩინა.



ორი ეშმაკი.

ზინა. რატომაც არ იკადრებს?

მეორე. იმიტომ არ იკადრებს, რომ რაინდი კაცია, ღრმა თავდღიშვილი, შეძლებული, (როგორც ფიზიკურით, ავრეუთე ქონებრივით) იღვლისტი და ვინ იცის რამდენი რა. აბა ამითანა კაცს რა ეშმაკათ უნდა რალაც უბრალო ბანკის განცხადებები?

ზინა. რას ამბობ, ბოშო? ნუ თუ არ იცი, რომ გაზეთები საზოგადოთ განცხადებებით სულ-

* არავის იფიქროს აქ კორექტული შეცდომა და „ქ“ მაგივრათ იგ უნდა იქოსო.

გმულობენ და ჩვენი, ქეშპირტი ქართული, ვახეთე-
ბი კი ბანკის განცხადებებით? შეუფარდებოდა მა რას
იხამდა! ხუმრობა საქმეა ორი თუ ოთხი მანეთი!!

ქეაძე. კარგი და პატოსანი, მაგრამ ჩხუბი და
აყალ-მაყალი რაღა საქირო იყო?

ზარგ. დღეს შენ სწორეთ რომ ველარა გცნობ,
მეგობარო! სად გაგვგონია შე დალოკვილო უმ-
ხუბრათ საქმის გატანა? გიორგიმაც იჩხუბა, შელანდ-
შემოლანდლა ბანკის გამგეობა და შეხედე რამდენი
განცხადებები მისცეს? ამით ერთ ორ თვეს კიდევ
გაატანს და შემდეგ ვინ იცის.

ქეაძე. ეს ამირეჯიბი კარგი, ვიცნობთ თუ
გინდა, რომ ამისთანაებთან ერთობ მიდრეკილია, მა-
გრამ ხეჩატუროვი რაღა ეშმაკმა შეადინა? კაცო
თავიდან ბოლომდე განცხადებებში ვახვეულია და
რაღა ამირეჯიბის უღლუფას დახარბდა ე დალოკვილი?

ზარგ. არ ვაგმტყუნება. მისი ხელობა განცხა-
დებებია და ეძებს ის კაცი. ამა მე შენ ვითხრა მო
წინავე წერილები დაუდის და ადგილები აკლია.

ქეაძე. ხუმრობას გაგრეშე, ნუ თუ ერთი კაცი
არა ყავთ, რომ თვეში ერთი მეთაური წერილი მო-
ახრჩობიოს?

ზარგ. ერთს კი არა, თუ გინდა ათასსაც, მაგ-
რამ ქუთიან კაცია და უფრთხის.

ქეაძე. ვითომ რატომაო?

ზარგ. იმიტომ რომა, მეთაურში რედაქცია თა-
ვის ფიზიონომიას აჩენს, ის ერთგვარი სარკვეა, რომ
მელშიაც ასე თუ ისე განსახიერდება ვახეთის მიმარ-
თულებს.

ქეაძე. მერე განსახოს, ვინ უშლის?!

ზარგ. გამაგევე სწორეთ! როგორ თუ ვინ უშ-
ლის, ის უშლის რომ სახე არა აქვს და თუ აქვს გამო-
ჩენა სცხვენია.

ქეაძე. არა მგონია! ეს რომ ვერე იყოს სვი-
მონ ყიფიანიც აღარ გამოსცემდა ვახეთს.

ზარგ. რატომ?

ქეაძე. იმიტომ რომ ნიკო ელიავამ დაუწერა:
შენ სხვაფრივ კარგი ბიჭი ხარ, მხოლოდ ლიტერა-
ტურულ დარგებშია კოკლობო.

ზარგ. რომელი ლიტერატურაა ჭინდა ნეტავ
სახეში?

ქეაძე. ალბათ მისი ნაკოდევილევი დრამა, რომ
მელშიაც მოძრაობის გმირათ ვილაღ მემამულე
გამოახეტა.

ზარგ. ასეთი დრამისათვის უნიკო შეიძლება
ეწოდოს და არა ურიგო თუ უხნეო.

ქეაძე. მაშ სხვა რაღა ჯანბა დასწერა რომ
არ ვიცი!

ზარგ. დასწერდა რამეს, უთუოდ დასწერდა.

ქეაძე. თუ დასწერა „დრამა“ იქნება, თორემ
„ახალი წრე“ არ შერიცხავდა ხანისსა დასამატელ
ერთელში.

ზარგ. ამა რა დასწერა ნეტავ?

ქეაძე. მე რომ შეკითხები ის არა სჯობია
თვით ნიკოს შევეკითხოთ?

ზარგ. მართლა, მოდი შევიტანოთ შეკითხვა.
დასწერე!

ქეაძე. რა დავსწერო?

ზარგ. დასწერე რაც გითხრა.

„შეკითხვა ეშმაკებისა ნიკო ელიავასადმი“

ძვირფასო ნიკო ზურაბის-ძეო,
მციროდენი ყურთ გვივდეთ!
თქვენ უმეველათ მოგხსენდებათო
(და პასუხიცა დავშენდებათო)
გვაშენო ჩვენ ვეს საცნობელიო
რითაც დაგჩრებიტ მადლობელიო.
რა ,,შეკქმნა“ სვიმონ ყიფიანმაო
მისმა კალამმა მადლიანმაო,
ისეთი რომა ,,ახალ წრესაო“
მისი წვერობა ჩირქსა ცხვენსაო!
ნუ დავჯარდები, ვარს ნუ გეტყვიო
მოთმენა არ გვაქვს ამის მეტიო.
თითონ სიმონსა, მართალიაო
თქვენი პასუხი უხარიაო,
მაგრამ ჩვენთვისა ის არ ემარაო
სჩანს აქა რაღაც დაიფარაო.
გულთით მოველით განმარტებასო
და იმ პასუხის დამატებასო“.


ქეაძე. კარგი. ემარებს.

ზარგ. როგორ მოგწონს? მე მგონია გასჭრის.
ან კი რა არის ნეტავ დასამალო.

ქეაძე. მე მგონია...

ზარგ. დროა გავათავოთ.

ეშმაკი.



საქართველო
საბჭოთაო

1910 წლისათვის

მიიღება ხელის მოწერა

ერთველ-პირველ იუმორისტულ ჟურნალზე



მათრასი

და სალაპურნი

ყოველ-კვირეული, იუმორისტული ჟურნალი

ვინც ამ თავიდან გამოიწერს ჟურნალს და მთელი წლის ფასს შემოიტანს ავევს-
ჩქოს პირველ რიყსებში ჟურნალთან ერთად

პრემიით გაეგზავნება

ახალი პრემიული

ამ კრებულში მოთავსებული იქნება: ლექსები, მოთხრობები, აუმორისტული ნაწარ-
მოები და სხვა. როგორც ორგინალური ისე სათარგმანი.

წიანი 300 გვერდიანი იქნება, მოზრდილი ფორმატის და ელირება 1 მ.

მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი ახალგაზრდა მწერლები და პოეტები.

ჟურნალის ფასი მთელი წლის **სრულად უნდა აუზიდავდეთ** **სამომთავროვნო პირველ**
იხმისაგან, ვინც ამ დრომდე სრულად ვერ შემოიტანს პრემიას ვერ მიიღებს. ფულის შემოტანა
შეიძლება ნაწილ-ნაწილად პირველად 2 მ. 50 კ. დანარჩენი 2 მ. 50 კ. პირველ ივნისამდე.

1910 წლის 1 იანვრიდან ჟურნალი გამოვა იმავე ფორმატით და იმავე ში-
ნაარსით. რედაქცია ეცდება გააუმჯობესოს ჟურნალი. მონაწილეობას მიიღებენ:
ახანნი, ბლაგოპე, განჯის-კარელი, ეშმაკა, კოლდუშარი, ზომელიური, თურდოს-
ზირელი, იასანანი, დრუთელი კენტი, ლესხუელი, ძალაქაშვილი, შატნა, ტ. რამი-
შვილი, რუსაძე, რუსაყვანი, ტუქსიაშვილი, ქუჩიაშვილი, შხანკოლა და სხვანი.

ჟურნალი წლიურად ღირს 5 მ. თვიურად 50 კ. ცალკე ნომერი 10 კ

ფულის გაზომავზენა ადრესი: Тифлисть Типография Т-ва „Промта“

Василию Карамановичу Болквалдзе.

იყიდება „შრომის“ სტამბაში

და აგრეთვე კაც-სახელებათ მსურველთ:

- 1) „ეშმაკის მათრასი“ 1907 წლისა 13 ნომერი ერთად შეკერილი. — 13. 30 კ.
- 2) „ეშმაკის მათრასი“ და „მათრასი“ 1908 წლისა, 35 ნომერი ერთად შეკერილი — 2 — 50
- 3) „აღმანახები“: აკაკი, ეშმაკი, ჯაფარიანი, ეშმაკი, მათრასი, და ტარტაროვი,

—სულ 10 ნომერი ერთად შეკერილი — 50

4) „ქრისტინე“, ოთხ მოქმედებიანი დრამა ე. ნინოშვილის მოთხრობიდან პ. ირეთელისა — 20

ვინც პროვინციებიდან გამოიწერს და ღირე-
ბულ ფასს გამოგზავნის, ფოსტის გასაგზავნი ფუ-
ლი არ გადახდება.

მსურველმა უნდა მიმართოს „შრომის“ სტამ-
ბაში, ვასო მოლქვაძეს. ფულის მივიღოთ ფოსტის
მარკების გამოგზავნაც შეიძლება.